პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 300 (13116) | პარასკევი, 25 დეკემბერი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს. მეოთხე სესიის გახსნის შესახებ



საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია გაიხსნება დღეს, 25 დეკემბერს, დილის 10 საათზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

საახალწლო ნოგათი

დასახული მიზნა აღებულია!

საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობამ შეასრულა წლიური გეგმა

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობამ ვადამდე 23 დეკემბერს, შეასრულა საერთო პროდუქციის წარმოებისა და ისეთი უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების წლიური გეგმა, როგორიცაა თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, ფოლადის მილები, მანგანუმისა და ტყვია-თუთიის მადანი, ქვანახშირი, კვების მრეწველობის ტექნოლოგიური მოწყობილობა, ამწელექტროძრავები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები, ქაღალდი, შიფერი, ტრიკოტაჟის საცვალი და ზედა ტრიკოტაჟი, პურფუნთუშეული და საკონდიტრო ნაწარმი, ნატურალური ჩაი და სხვ.

ვადამდე შესრულებულია აგრეთვე შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა. შვიდწლეულის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის შეჯიბრებაში თავი ისახელეს მანქანათსაშენებელი, ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთსაშენებელი მრეწველობის, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, ქვანახშირის ტრესტების, საშენ მასალათა მრეწველობის, საქართველოს ჩაის ტრესტის, სამტრესტის, საქართველოს პურისა და საკონდიტრო ნაწარმის ტრესტის, საქართველოს კონსერვტრესტის, საქართველოს თამბაქოს ტრესტის, საქართველოს მცენარეული და ეთეროვანი ზეთების ტრესტის კოლექტივებმა და სხვ.

წლის ბოლომდე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოები გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მისცემენ რამდენიმე ათეული მილიონი მანეთის მრეწველობის პროდუქციას. მტკიცე საფუძველს ჩაუყრიან შემდგომ წარმატებათა მიღწევას 1965 წელს — შვიდწლედის დამამთავრებელ წელს. (საქდესი).

ქალაქ თბილისის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა წლიური გეგმა

ქალაქ თბილისის მრეწველობის მუშაკებმა, რომლებმაც ფართოდ გამალეს სოციალისტური შეჯიბრება შვიდწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, 24 დეკემბერს, ელდებულებით გათვალისწინებულ ვადაზე ერთი დღით ადრე შეასრულეს საერთო პროდუქციისა და მეტ წილ სახეობათა ნაწარმის გამოშვების 1964 წლის გეგმა.

თბილისის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები, რომლებიც ფართოდ ნერგავენ ახალ ტექნიკასა და მოწინავე გამოცდილებას, იბრძვიან წარმოების მაღალი კულტურისათვის, მათ მიაღწიეს შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვან ზრდას და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას.

წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლის აკანგარდში არიან კომუნისტური შრომის კოლექტივები და დამკვრელები, წარმოების მოწინავეხოვატორები.

წლის ბოლომდე თბილისს მრეწველობა წლიური გეგმის გადამეტებით გამოუშვებს 20 მილიონი მანეთის სხვადასხვა პროდუქციის ნაცვლად ვალდებულებით გათვალისწინებული 18 მილიონი მანეთისა.

ქალაქის სამრეწველო-სატრანსპორტო საწარმოთა მუშაკნი, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები დაუცხრომლად შრომობენ შვიდწლიანი გეგმის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის. (საქდესი).

წლიური გეგმა ვადამდე შესრულდა

სკპკ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გულითადად მიულოცეს თევზის მრეწველობის მუშაკებსა და კოლმეურნე მებადურებს შესანიშნავი შრომითი გამარჯვება — თევზისა და ზღვის სხვა პროდუქტების მოპოვების წლიური გეგმის ვადამდე შესრულება. 10 დეკემბრისათვის მოპოვებულია 49,1 მილიონი ცენტნერი თევზი და ზღვის სხვა პროდუქტი, რაც 4,6 მილიონი ცენტნერით მეტია, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში იყო. (საკდესი).

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ ზოგიერთი რაიონის შექმნისა და სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილებების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

შეიქმნას საქართველოს სსრ შემდეგი რაიონები და ამასთან დაკავშირებით გატარდეს ზოგიერთი სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილებები:

1. გამოეცეს გეგეჭკორის რაიონს: აბაშის საქალაქო საბჭოს, ძველი აბაშას, გეზათის, ქოლობნის, ზანათის, ონტოფოს სამიქაოს, სეფიეთის, სუჯუნის, წყემის, მარნის, პირველი მაისის, ნიეს-საკაოს, ნორიოს სასოფლო საბჭოების, ლანჩხუთის რაიონს — კეთილარის სასოფლო საბჭოს ტერიტორია და შეიქმნას მათგან აბაშის რაიონი, ცენტრით ქალაქ აბაშაში.

2. გამოეცეს ახალქალაქის რაიონს: ბოგდანოვკის სადაბო საბჭოს, განძნის, გორელოვკის, ეშტიის, გონდრიოს, სათხის, ტამბოვკის სასოფლო საბჭოების ტერიტორია და შეიქმნას მათგან ბოგდანოვკის რაიონი, ცენტრით დაბა ბოგდანოვკაში.

3. გამოეცეს ხაშურის რაიონს: ახალდაბის, გუჯარეთის, დვირის, გვერდისუბნის, ტაბაწყურის, ტაძრისის, ციხისჯვრის, ყვიბისის, ტბის სასოფლო საბჭოების, ბორჯომის საქალაქო საბჭოს — ბაკურიანის, წაღვერის სადაბო საბჭოების ტერიტორია და შეიქმნას მათგან ბორჯომის რაიონი, ცენტრით ქალაქ ბორჯომში.

გამოეცეს ბორჯომის საქალაქო საბჭოს ვალეს საქალაქო და აბასთუმნის სადაბო საბჭოები და ადმინისტრაციულად დაექვემდებაროს ახალციხის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს.

რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქი ბორჯომი მიეკუთვნოს რაიონული დაქვემდებარების ქალაქების კატეგორიას და ადმინისტრაციულად დაექვემდებაროს ბორჯომის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს.

4. გამოეცეს ბორის რაიონს: აგარის, ქარელის სადაბო საბჭოების, ბანისის, ბრეთის, ავლევის, ბრეთის, გვერძნენთის, დირბის, ზღუდრის, კენჭეჯვრის, ღვანის, ქვენაკოცის, ზემო ხვედურეთის, ურბნისის, ოფისის სასოფლო საბჭოების, ხაშურის რაიონს — ახალსოფლის, მოხისის სასოფლო საბჭოების ტერიტორია და შეიქმნას მათგან ქარელის რაიონი, ცენტრით დაბა ქარელში.

5. გამოეცეს თეთრი წყაროს რაიონს: წალკის, თრიალეთის სადაბო საბჭოების, ბეშთაშენის, ბაშქოის, ედიჭილისის, წინწყაროს, კუშჩის, ავრანლოს, კაბურის სასოფლო საბჭოების, მარნეულის სამრეწველო რაიონს — ბედიანის სადაბო საბჭოს ტერიტორია და შეიქმნას მათგან წალკის რაიონი, ცენტრით დაბა წალკაში.

6. გამოეცეს ბოლნისის რაიონს: დმანისის სადაბო საბჭოს, ამამლოს, კიროვის, გომარეთის, სარკინეთის, დიდი დმანისის, ირგანჩაის, განთიადის, ყარაბულახის, საკირეს, მუღანლოს, ყიზილქილისის სასოფლო საბჭოების ტერიტორია და შეიქმნას მათგან დმანისის რაიონი, ცენტრით დაბა დმანისში.

7. გამოეცეს ბოლნისის რაიონს: შაუმიანის სადაბო საბჭოს, ახქერფის, ალგეთის, ქაფანახჩის, კასუმლოს, ყაჩაღანის, ყიზილაჯლოს, ქუთლარის, ოფრეთის, სადახლოს, თამარისის, ხოკორნის, ორკონიკეძის, შულავერის სასოფლო საბჭოების, მარნეულის სამრეწველო რაიონს — მარნეულის საქალაქო საბჭოს ტერიტორია და შეიქმნას მათგან მარნეულის რაიონი, ცენტრით ქალაქ მარნეულში.

ამასთან დაკავშირებით გაუქმდეს მარნეულის სამრეწველო რაიონი და წოლის დასახლება ადმინისტრაციულად დაექვემდებაროს მარნეულის რაიონის ხოკორნის სასოფლო საბჭოს, ხოლო კაზრეთის დასახლება — ბოლნისის რაიონის ქვემის სასოფლო საბჭოს.

8. გამოეცეს მცხეთის რაიონს: აღაიანის, ახალციხის, დოესის, ზემო ხანდაკის, სამთავისის, კავთისხევის, კოდისწყაროს, ლამისყანის, მეტეხის, ოკმის, ქვემო ჭალის, გომის, ყარაღაჯის, ახალქალაქის, წინარეხის, ხოვლის სასოფლო საბჭოების ტერიტორია და შეიქმნას მათგან კასპის რაიონი, ცენტრით ქალაქ კასპში.

რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქი კასპი მიეკუთვნოს რაიონული დაქვემდებარების ქალაქების კატეგორიას და ადმინისტრაციულად დაექვემდებაროს კასპის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს.

9. გამოეცეს ყვარლის რაიონს: ლაგოდეხის საქალაქო საბჭოს, არეშფერანის, ოფინის, ბაისუბნის, ნინიგორის, ვარდისუბნის, კაბლის, ლელიანის, ორჯონიკიძის, ფონის, ყარსუბნის, ულიანოვკის, ცოდნის, ცოდნისკარის, შრომის სასოფლო საბჭოების ტერიტორია და შეიქმნას მათგან ლაგოდეხის რაიონი, ცენტრით ქალაქ ლაგოდეხში.

10. გამოეცეს სიღნაღის რაიონს: წითელწყაროს საქალაქო საბჭოს, არბოშიკის, ზემო მაჩხაანის, ქვემო ქედის, წითელი სამთავროს, წითელწყაროს, ზემო ქედის, ჯაფარიძის, გამარჯვების, არხილოსკალოს სასოფლო საბჭოების ტერიტორია და შეიქმნას მათგან წითელწყაროს რაიონი, ცენტრით ქალაქ წითელწყაროში.

11. გამოეცეს ამბროლაურის რაიონს: ონის საქალაქო საბჭოს, ღების, ჭიორის, გლოლის, საკაოს, მთისკალთის, ონის, ბარის, კვაშხიეთის, პიპილეთის, სორის, ფარახეთის, შქმერის, ცხმორის, წედილის, უწერის, გომის სასოფლო საბჭოების ტერიტორია და შეიქმნას მათგან ონის რაიონი, ცენტრით ქალაქ ონში.

12. გამოეცეს წულუკიძის რაიონს: ცოცანის სადაბო საბჭოს, ნაფაღაურის, მელაურის, ღანირის, დიდი ჯიხაშის, ეწერის, ბაშის, გომის, გამოჩინებულის, გორმაღალის, საკავახოს, ტოლების, ოფეთის სასოფლო საბჭოების ტერიტორია და შეიქმნას მათგან სამტრედიის რაიონი, ცენტრით ქალაქ სამტრედიაში.

რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქი სამტრედია მიეკუთვნოს რაიონული დაქვემდებარების ქალაქების კატეგორიას და ადმინისტრაციულად დაექვემდებაროს სამტრედიის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს.

13. გამოეცეს მაიაკოვსკის რაიონს: ვანის სადაბო საბჭოს, სულორის, საალხინოს, გადიდის, დიხაშხოს, ძულუხის, ბზვანის, ტობაინერის, მუქედის, შუამთის, ყუშურის, უხუთის, ამალლების, გორას, ზეინდრის, ფერეთას, საპრასიის, ციხისულორის სასოფლო საბჭოების ტერიტორია და შეიქმნას მათგან ვანის რაიონი, ცენტრით დაბა ვანში.

14. გამოეცეს ზესტაფონის რაიონს: ალისუბნის, ახალი თერჯოლის, გოგნის, ეწერის, საზანის, თუზის, თერჯოლის, რუფოთის, სიმონეთის, სიქთარვის, ღვანკეთის, ჩხარის, ძევრის, ბარდუბნის, ნახშირელის, ქვაბჯირის, გოდოგნის, ქვედა სიმონეთის სასოფლო საბჭოების ტერიტორია და შეიქმნას მათგან თერჯოლის რაიონი, ცენტრი სოფელ თერჯოლაში.

გამოეცეს ტყიბულის საქალაქო საბჭოს ტყიბულბრეთის მუშათა დასახლება და ადმინისტრაციულად დაექვემდებაროს თერჯოლის რაიონის ძევრის სასოფლო საბჭოს.

გამოეცეს ზესტაფონის საქალაქო საბჭოს შორაპანის სადაბო საბჭო და ადმინისტრაციულად დაექვემდებაროს ზესტაფონის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს.

რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქი ზესტაფონი მიეკუთვნოს რაიონული დაქვემდებარების ქალაქების კატეგორიას და ადმინისტრაციულად დაექვემდებაროს ზესტაფონის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს.

15. გამოეცეს ხარაგოლის რაიონს: ვაკეთის, ითხვისის, კაცხის, ნიგოზეთის, პერეკეთის, რგანის, სვერის, ქვაცისის, წირქვალის, ხვაშთის, ხერეთის, მანდაეთის, ეგნურეთის, ზოდის სასოფლო საბჭოების ტერიტორია და გადაეცეს ჭიათურის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში.

16. გამოეცეს წყალტუბოს რაიონს: გურნის, კურსების, მუხურის, ორპირის, საწირის, სარჩხეთის, ცუცხვათის, ხრეხილის, ჭკვარის სასოფლო საბჭოების ტერიტორია და გადაეცეს ტყიბულის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში.

გამოეცეს წყალტუბოს საქალაქო საბჭოს ლაჯანურჩესის მუშათა დასახლება და ადმინისტრაციულად დაექვემდებაროს ცაგერის რაიონის ალპანის სასოფლო საბჭოს.

რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქი წყალტუბო მიეკუთვნოს რაიონული დაქვემდებარების ქალაქების კატეგორიას და ადმინისტრაციულად დაექვემდებაროს წყალტუბოს რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს.

17. გამოეცეს ცხაკაიის რაიონს: ჩხოროწყუს სადაბო საბჭოს ახუთის, კირცხის, ლესიკინის, ლეწურწყუმის, მუხურის, ნაკიანის, ნაფიჩხოვოს, ჭოლას, ხაბუმის. ზუმის, ქვედაჩხოროწყუს სასოფლო საბჭოების ტერიტორია და შეიქმნას მათგან ჩხოროწყუს რაიონი, ცენტრით დაბა ჩხოროწყუში.

18. გამოეცეს ზუგდიდის რაიონს: ხობის სადაბო საბჭოს, ახალხებულის, ბიის, პირველი მაისის, პირველი ხორგის, საჯიკოს, თორსადღვაბის, ჭარიატის, ქვემო ქვალონის, შუა ქვალონის, შუა ხორგის, ძველხებულის, ხამისყურის, ხეთის, ნოჯიხევის, პატარა ფოთის, ქვემო ჭალადიდის, განთიადის სასოფლო საბჭოების ტერიტორია და შეიქმნას მათგან ხობის რაიონი, ცენტრით დაბა ხობში.

რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქი ზუგდიდი მიეკუთვნოს რაიონული დაქვემდებარების ქალაქების კატეგორიას და ადმინისტრაციულად დაექვემდებაროს ზუგდიდის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს.

19. რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქი თელავი მიეკუთვნოს რაიონული დაქვემდებარების ქალაქების კატეგორიას და ადმინისტრაციულად დაექვემდებაროს თელავის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს.

20. დამტკიცდეს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინება:

ა) გუდაუთის რაიონიდან მიქელრიფშის, ლესელიძის, ნაკადულის, განთიადის, ბაღნარის, ბაშუფსის, ხოლდნორჩინსკის, კოლხიდის, ალახაძის, ბზიბის, ლიძავის სასოფლო საბჭოების, გაგრის საქალაქო საბჭოდან — პიტუნდის სადაბო საბჭოს ტერიტორიის გამოყოფისა და მათგან ბაბრის რაიონის შექმნის შესახებ, ცენტრით ქალაქ გაგრაში;

ბ) რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის გაგრის რაიონული დაქვემდებარების ქალაქების კატეგორიაზე მიკუთვნებისა და მისი ადმინისტრაციულად გაგრის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოსათვის დაქვემდებარების შესახებ.

ახალი ათონის სადაბო საბჭოს ადმინისტრაციულად გუდაუთის რაიონის მშრომელთა დეპუტატების, საბჭოსათვის დაქვემდებარების შესახებ;

გ) რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის ოჩამჩირის რაიონული დაქვემდებარების ქალაქების კატეგორიაზე მიკუთვნებისა და მისი ადმინისტრაციულად ოჩამჩირის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოსათვის დაქვემდებარების შესახებ.

21. დამტკიცდეს აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინება:

ა) ქობულეთის რაიონიდან მახინჯაურის სადაბო საბჭოს, აჭარისალმართის, აჭარისწყლის, ახალშენის, გონიოს, ხელვაჩაურის, კახაბრის, კირნათის, ჩაქვის, ხუბულნის, სარფის, თხილნარის, ურეკის სასოფლო საბჭოების ტერიტორიის გამოყოფისა და მათგან ბათუმის რაიონის შექმნის. შესახებ, ცენტრით ქალაქ ბათუმში;

ბ) რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის ქობულეთის რაიონული დაქვემდებარების ქალაქების კატეგორიაზე მიკუთვნებისა და მისი ადმინისტრაციულად ქობულეთის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოსათვის დაქვემდებარების შესახებ.

22. დამტკიცდეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს ალმასკომის წარდგინება:

ა) ზნაურის რაიონიდან ბელოთის, ვანათის, გერის, ძარის, ქემერტის, ქურთის, ბერულის, ქსუისის, ხეთაგუროვის სასოფლო საბჭოების, ლენინგორის რაიონიდან — არცევის, ბიეარის, ღრომის სასოფლო საბჭოების ტერიტორიის გამოყოფისა და მათი ცხინვალის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში გადაცემის შესახებ;

ბ) ცხინვალის საქალაქო საბჭოდან კვაისის სადაბო საბჭოს გამოყოფისა და მისი ადმინისტრაციულად ჯავის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოსათვის დაქვემდებარების შესახებ.

23. ახალი რაიონების შექმნასთან დაკავშირებით გამოეცეს:

ა) ახალციხის რაიონის ბამბაკის სასოფლო საბჭოს — ქალაქ ვალეს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის ტერიტორია და გადაეცეს ვალეს საქალაქო საბჭოს ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში;

ბ) ბორჯომის რაიონის ტბის სასოფლო საბჭოს — დაბა წაღვერის კოლმეურნეობისა და დაბა ბაკურიანის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორია და გადაეცეს დაბა წაღვერის კოლმეურნეობის ტერიტორია — წაღვერის სადაბო საბჭოს, ხოლო დაბა ბაკურიანის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორია — ბაკურიანის სადაბო საბჭოს ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში;

გ) მარნეულის რაიონის ორკონიკიძის სასოფლო საბჭოს — ქალაქ მარნეულის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორია და გადაეცეს მარნეულის საქალაქო საბჭოს ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში;

დ) საგარეჯოს რაიონის ნინოწმინდის სასოფლო საბჭოს — ქალაქ საგარეჯოს საბჭოთა მეურნეობის ტერიტორია და გადაეცეს საგარეჯოს საქალაქო საბჭოს ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში;

ე) კასპის რაიონის კავთისხევის სასოფლო საბჭოს — ქალაქ კასპის კოლმეურნეობის ტერიტორია და გადაეცეს კასპის საქალაქო საბჭოს ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში.

24. მორიგ არჩევნებამდე შენარჩუნებულ იქნეს რაიონული საბჭოების დეპუტატების (შესაბამისი საარჩევნო ოლქებიდან) რწმუნებანი ახლად შექმნილი რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოებში, აგრეთვე ჭიათურის, ტყიბულისა და ცხინვალის საქალაქო საბჭოებში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი ზ. კვპაპაძე

თბილისი,
1964 წლის 28 დეკემბერი.

საქართველოს სს რესპუბლიკის ახალი ადმინისტრაციული რუკა


ბაკურიანი
ბაღდათი
ხობი
ფოთი
ზუგდიდი
ონი
ამბროლაურა
ცაგერი
ლენტეხი
ჭიათურა
ტყიბული
ცხინვალი
ბორჯომი
ახალციხე
ახალქალაქი
ასპინძა
ბოლნისი
დმანისი
ნინოწმინდა
სიღნაღი
ყვარელი
ბაკურიანი
ბაზალეთი
ბაზალეთი
ბაზალეთ

ᲒᲐᲜᲐᲬᲔᲡᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ ᲣᲧᲕᲐᲠᲡ

ᲣᲠᲛᲔᲑᲘᲗ, სახედრებით, ბეჭით ვეზიდებით შორიდან წყალს. დეპუტატმა ამ საქმეს უნდა მიხედოს.

— უგზოობა გვაწუხებს. მარტო საუბნო გზები კი არა, სოფლის მთავარი გზაც დანგრეულია. დეპუტატმა ამ საქმეზეც უნდა იზრუნოს.

— ახანო გვაქვს, მაგრამ არ მუშაობს. ჩვენი რჩეული უნდა დაგვეხმაროს.

სოფელ კურდღელაურის (თელავის რაიონი) მშრომელთა კრებაზე ამომრჩევლებმა ბევრი სხვა საჭირბოროტო საკითხიც დააყენეს.

უკანასკნელ წლებში კურდღელაურში ბევრი რამ გაკეთდა. სოფელი ილიჩის ნათურებმა გააჩირაღდნა, რადიო ყველა ოჯახში ახმაურდა. აშენდა კულტურის სახლი, სკოლა, მაღაზიები. ეს კარგია, ამით კოლმეურნეები კმაყოფილი არიან, მაგრამ დამავალეს ყურადღება მიმექცია იმისათვის, რაც მათ აწუხებდათ, მეზრუნა ნაკლოვანებების გამოსასწორებლად.

ასეთი კი ცოტა როდი აღმოჩნდა. ავიღოთ თუნდაც წყალი. მოსახლეობის ერთი ნაწილი ძველთა-ძველი ჭებით სარგებლობდა, მეორე რიგი უბნების მცხოვრებლები კი წყალს შორი მანძილიდან ეზიდებოდნენ. წყაროსთან დიდი რიგები იმართებოდა. სოფლის წყლით უზრუნველყოფის საკითხი კოლმეურნეობის გამგეობისა და სასოფლო საბჭოს აღმასკომის წინაშე დაგაყენე. გადაწყდა თელავიდან გამოგვეყვანა „ბატონის წყარო", საამისოდ სათანადო თანხებიც გამოიყო. მაგრამ მილები? მათი შოვნა, ცოტა არ იყოს, გაგვიჭირდა. ზემდგომმა ორგანოებმა სათანადო დახმარება გაგვიწიეს, მილები მივიღეთ, შუშაობა დაიწყო. რომ იტყვიან, ქუდზე კაცი გამოვიდა. მაღე სოფელმა შვებით ამოისუნთქა. ყველა უბანში თუ ქუჩაზე ცივმა, ანკარა წყარომ გადმოსჩქეფა.

მთავარი გზა, რომელიც თელავიდან კურდღელაურზე გადის, ვიწრო და მოუყოფელი იყო. ტრანსპორტს გაკლა უჭირდა. მის გასაკეთებლად ხშირად სასოფლო საბჭოს ხესიაც მსჯელობდა და კოლმეურნეობის წევრთა კრებაც. მაგრამ შედეგი არ ჩანდა. საკითხი რაიონული საბჭოს აღმასკომის წინაშე დაგაყენე. რაიონის საგზაო განყოფილებამ საქმეს ხელი მოჰკიდა. ბულდოზერები, მიწის სათხრელი მანქანები ახმაურდნენ, გზა გაიფართოეს. კოლმეურნეობის მანქანებმა დიდძალი ხრეში მიზიდეს. მოკლე დროში სამ კილომეტრზე მეტი გზა მოასფალტდა. ტრანსპორტს სიარული აღარ უჭირს, მოსახლეობას მტვერი აღარ აწუხებს.

კურდღელაურელებმა დიდი შრომა გასწიეს ავრეთვე საუბნო გზების კეთილმოსაწყობად. ვიწრო ორლობეები, რომ იტყვიან, სანთლით საძებარი გახდა. გზები მოიხრეშა. მოსახლეობას ტალახი აღარ აწუხებს. განზრახულია მომავალ წელს კურდღელაური რაიონის ცენტრს დაუკავშირდეს მეორე უმოკლესი გზითაც.

სოფელში ორი სკოლაა — დაწყებითი და საშუალო. მასწავლებლები ნაყოფიერად მუშაობენ. მეორეწლიანთა რიცხვი მინიმუმამდე დავიდა. სასკოლო ასაკის ყველა ბავშვი სწავლობს, მაგრამ არის საკითხები, რომელთა მოსაგვარებლად სკოლების ხელმძღვანელები ჩვენს ჩარევას, დახმარებას მოითხოვენ. ახალი სასწავლო წლისათვის მზადება ნელი ტემპით მიმდინარეობდა, რემონტი გვიანდებოდა. ეს საქმე მხედველობიდან არ გამორჩენია. საკითხი დავაყენე სასოფლო საბჭოს აღმასკომისა და კოლმეურნეობის გამგეობის წინაშე. ხელოსნები გამოჩყვეს, სათანადო მასალები შეიძინეს და სკოლებს რემონტი გაუკეთეს. ახლა სკოლებს შეშაც საკმარისი აქვთ.

ათას ორასი კომლი ცხოვრობს კურდღელაურში. უბნები ერთიმეორეს დიდი მანძილით არის დაშორებული. სოფლის ცენტრში მაღაზიები კი არის აშენებული. მაგრამ იგი ყველასთვის ადვილად ხელმისაწვდომი როდია. ამომრჩევლებმა მთხოვეს ცენტრს დაშორებულ უბნებში აშენებულიყო მაღაზიები, საპარიკმახეროები და სხვ. კოლმეურნეობის ხელმძღვანელობამ ყურადღება მშრომელთა მოთხოვნა, ბოძორიანთ უბანში მაღაზია და საპარიკმახერო ააშენა. მომავალ წელს მაღაზია აშენდება აგრეთვე ორკოდაანთ უბანში.

ბევრი სხვა საჭირბოროტო საკითხიც მოგვარდა, როგორც კურდღელაურში, ისე დანარჩენ სოფლებში, მაგრამ ბევრი კვლავ მოსაგვარებელია. ავიღოთ თუნდაც საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მუშაობა. კურდღელაურში რამდენიმე წელია, რაც ბანო აშენდა. დროთა განმავლობაში იგი დაზიანდა, საჭირო გახდა რემონტი, მაგრამ ყური არავინ შეიბერტყა. ზემდგომი ორგანოების მითითებით კოლმეურნეობაში არსებული საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები რაიკოოპკავშირის საწარმოო-საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატს გადაეცა. მოსალოდნელი იყო, რომ ობიექტების მუშაობა გაუმჯობესდებოდა, მაგრამ ამაოდ. ბანო კვლავ არ მუშაობს.

თელავის რაიკოოპკავშირის საწარმოო-საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის დირექტორმა ვ. ხანჯალაშვილმა კურდღელაურის კოლმეურნეობის გამგეობას მისწერა:

— ცეკავშირი უფლებას არ გვაძლევს არასამუშაო მდგომარეობაში მყოფი ობიექტები მივიღოთ. გთხოვთ გაიუქმოთ თქვენი ბანის გადმოცემის შესახებ არსებული ბრძანება და დაიბრუნოთ ბანო.

განა ეს უშველის საქმეს? მიწერ-მოწერა დაკმაყოფილებს კურდღელაურის მოსახლეობას?

თბილისი, რუსთაველი, ყვარელი. წითელწყაროა. სად არ დადიან თელავის სამგზავრო ავტოტრანსპორტის კანტორის ავტობუსები. ეს მოსაწონია, მაგრამ ის არ არის კარგი, რომ ავტობუსი რეგულარულად არ დადის თელავიდან კურდღელაურში. ამომრჩევლები მთხოვენ მოვაგვარო ეს საკითხი.

სახმოთა კავშირის უფალლესი საბჭოს მორიგმა სესიამ, რომელიც ახლახან გაიმართა, გრანდიოზული ამოცანები დასახა ჩვენი ქვეყნის მშრომელთა წინაშე. სათანადო წვლილი უნდა შეეტანოთ ამ ამოცანების სასახელოდ შესრულებაში.

ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲜᲐᲡᲧᲘᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურის კოლმეურნეობის წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ჯგუფი (მარცხნიდან) — მახარაძის რაიონის სოფელ მშვიდობაურის კოლმეურნეობის მეჩაიე ᲒᲘ. ᲙᲐᲘᲛᲐᲫᲔ, ტყვარჩელის № 1 შახტის მუშა Ჯ. ᲮᲣᲢᲐᲑᲐ, ლანჩხუთის რაიონის სოფელ აცანის კოლმეურნეობის წევრი Ნ. ᲧᲘᲚᲝᲡᲐᲜᲘ, ოჩამჩირის რაიონის მერკულის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი Თ. ᲮᲝᲮᲔᲚᲘᲐ, სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის მუშა Ი. ᲫᲔᲪᲔᲑᲐ, ოჩამჩირის რაიონის სოფელ ბესლახუბის კოლმეურნეობის თავმჯდომარე Შ. ᲥᲣᲩᲣᲑᲔᲠᲘᲐ და მახარაძის რაიონის ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი Ш. ᲚᲐᲛᲘᲜᲘᲐ.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲑᲖᲔ

ᲓᲘᲓᲘ ნდობა გამომცხადეს ქ. ქუთაისის პავლავაძის ოლქის ამომრჩევლებმა, უბრალო მუშა კაკი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად რომ ამირჩიეს.

რა შეიძლება იყოს იმაზე უფრო სასატიო, ვიდრე ის, რომ ემსახურებოდე შენს ხალხს, ყოველდღიურად ახლოს იყო ადამიანებთან, გესმოდეს მათი მოთხოვნები, გულსხმიერად ეკიდებოდე მათ.

ცხადია, დეპუტატს მოეთხოვება უპირველეს ყოვლისა თავისი შრომით, პრაქტიკული საქმეებით გაამართლოს ხალხის ნდობა და მაღალი პასუხისმგებლობით მოეკიდოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში მუშობას.

ძნელია საკუთარ თავზე, საკუთარ წარმატებებზე ილაპარაკო, მაგრამ ამომრჩევლებმა ხომ უნდა იცოდნენ თავისი დეპუტატის საქმეები.

და აი რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა ამ საქმეებზე.

ქუთაისის ლითოფონის ქარხანაში მისი ამუშავების დღიდან (ქარხანას წელს შეუსრულდა ოცდაბუთი წელი), ვმუშაობ. აქვამად ელექტროსამკერის ბრიგადირი ვარ. ჩვენი ბრიგადა სულ ხუთი კაცისაგან შედგება. ვმუშაობთ ბარიუმის, ბირგენერატორისა და საკვაბე სამკერიების ელექტრომეურნეობის პროფილაქტიკასა და რემონტზე.

ჩვენს დროში არ შეიძლება ვიწრო, უწყებრივი ინტერესებით შემოიფარგლო. მით უფრო, როცა შეგიძლია მეტი სარგებლობა მოუტანო საერთო-სახალხო საქმეს.

ბარიუმის საამქროში მესამე მბრუნავი ღუმელი დაიდგა. ამ ღუმელს სპეციალური ორგანიზაციის „საქშახტმონტაჟის" ქუთაისის უბნის მუშები ამონტაჟებდნენ. მაგრამ ამ ახალი ქიმიური სიმძლავრის ვადაზე ამუშავებას, კერძოდ, ღუმელის ელექტროძრავის, ტრანსპორტიორების, ელევატორებისა და ბუნთუნლებიანი წისქვილის ელექტროგაყვანილობის სამუშაოებს ვერ ასწრებდნენ.

ჩვენ არასამუშაო საათებში დავეხმარეთ მემონტაჟეებს, ღუმელი დროულად ჩავაყენეთ მწყობრში.

ასეთი მაგალითები სხვაც შეიძლება მოვიყვანოთ.

ამას წინათ ამომრჩევლებს შევხვდი. ელესპარაკე რესპუბლიკის, აგრეთვე ჩვენი ქალაქის სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მოპოვებულ მიღწევებზე, ჯერ კიდევ გადაუჭრელ ამოცანებზე, ჩემს საქმიანობაზეც.

კარგი ასეთი შეხვედრები. ამომრჩევლებმა გულახდილად გამოთქვეს აზრები და ბევრი სამართლიანი წინადადება წამოაყენეს. ახლა თითქმის ყველა მათი მოთხოვნა შესრულებულია ან სრულდება.

მთხოვეს სათანადო ორგანოებში დამეყენებინა საკითხი ი. ჭავჭავაძის სახელობის სკვერის ჩრდილოეთით მდებარე ბენზინის სვეტის აღებისა და სხვაგან გადატანის შესახებ. მათივ განცხადეს, სასადილოების ტრესტის ნახევარფაბრიკატების საწარმოს მისსავლელი საავტომობილო გზა არა აქვს, რის გამო ავტომანქანების პირდაპირ მოქალაქეთა სასიარულო ქვაფენილზე აყენებენ და მგზავრთათვის უხერხულობას ქმნიანო.

ორივე ეს საკითხი დადებითად წყდება. ჭავჭავაძის ქუჩის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით, რაც უკვე დაიწყო, სკვერიდან ბენზინის სვეტი აღებულ იქნება, ხოლო სასადილოების ტრესტის ნახევარფაბრიკატების საწარმოს ავტომანქანები სხვა გზით მიუდგებიან და მგზავრთათვის უხერხულობა აღიკვეთება.

ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის შენობაში დეპუტატების ცალკე ოთახია გამოყოფილი. აქ დაწესებულ დღეებში ვმორიგეობთ ჩვენც, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები. იცით ეს ამომრჩევლებმა და მრავალმხრივი მოთხოვნებითა და საჭიროებებით მოდიან ჩვენთან. ვის უბანში სასურსათო მაღაზიის, ხალ-ბოსტნეულის სავაჭროს ან საყოფაცხოვრებო მომსახურების სახელოსნოს გახსნა აინტერესებს, ვის ბინის გაფართოების ან მიღების, ვის ბინაში ტელეფონის დადგმის თუ სხვა საკითხების მოგვარება.

კიკვიძის ქუჩის მცხოვრებლებმა მოითხოვეს ამ ქუჩაზე რადიოსატრანსლაციო ქსელის გაყვანა. ეს საკითხი კავშირგაბმულობის საქალაქო კვანძისა და რადიოკვანძის წინაშე დავაყენე. საკითხი დადებითად გადაწყდა.

მე-11 საშუალო სკოლაში რემონტი ფერხდებოდა იმის გამო, რომ ადგილზე ზეთოვანი საღებავები და ოლიფა არ გააჩნდათ. სკოლის ხელმძღვანელობამ მთხოვა ლითოფონის ქარხნის დირექციის წინაშე დამეყენებინა სკოლისათვის დახმარების გაწევის საკითხი, მით უფრო, რომ აქ ჩვენი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა შვილები სწავლობენ. ქარხნის დირექციამ და ადგილობრივმა ორგანოებიანმა გადაწყვიტეს სკოლაზე შეფობა აეღოთ შესაძლებლობის ფარგლებში და კიდევაც დეხმარნენ.

შეიძლება თქვან, რომ ეს საკითხები თითქოს წვრილმანია. მაგრამ ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვასა და ადამიანთა მომსახურებაში წვრილმანები არ არსებობს. დიდი თუ პატარა საკითხი, ყველა გადაწყვეტას, დაკმაყოფილებას მოითხოვს.

ვითვალისწინებ რა ამას, ვეცდები მომავალშიც არ დავზოგო ენერგია იმისათვის, რომ ღირსეულად ვემსახურო ხალხს, პირნათლად შევასრულო ამომრჩეველთა მოთხოვნები, მათი განაწესი.

Ш. ᲑᲔᲠᲔᲫᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ᲥᲐᲠᲮᲜᲐᲜᲐᲡ — ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანა, რომელსაც სწორედ წელს, დეკემბერში, არსებობის 30 წლისთავი და მეორმოცდაათიათასე ჩარხის გამოშვების ღირსშესანიშნავი თარიღი უსრულდება, რესპუბლიკის ჩარხსამშენებლო მრეწველობის წამყვან საწარმოდ ითვლება.

ნათლად რომ წარმოვიდგინოთ ამ ქარხნის კოლექტივის მუშაობის მნიშვნელობა, საკმარისია ითქვას, რომ აქ გამოშვებული ჩარხებით ბაქოს ინკუბატორის მანქანათმშენებლობის 70-მდე საწარმო. აქ აღიზარდა სპეციალისტ-ჩარხმშენებელთა დიდი არმია, რომლის მიერ შექმნილი ახალი მოდელის ჩარხებს საბჭოთა კავშირის ყველა ქალაქის საწარმოებში შეხვდები. ამ ქარხანაში გამოშვებული ზოგი მოდელის ჩარხი დიდი პოპულარობით სარგებლობს მსოფლიო ბაზარზე და კოსკურენციას უწევს მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში გამოშვებულ ჩარხებს.

ამჟამად ქარხნის ძირითადი პროდუქცია 163 მოდელის უნიკერსალური ხარატო ჩარხი, რომელზეც მოთხოვნილება დიდია. როგორც ყოველთვის, წელსაც ქარხნის კოლექტივმა თერთმეტი თვის გეგმა გადაკარბებით — 100,3 პროცენტით შეასრულა და სახალხო მეურნეობას გეგმის გადამეტებით მისცა აღნიშნული მოდელის რამდენიმე ჩარხი. ასევე პირნათლად შეასრულეს ჩარხმშენებლებმა ამ ახალი, 163 მოდელის ჩარხების საზღვარგარეთ გაგზავნის გეგმაც.

მაგრამ ამ წარმატებებთან ერთად ქარხნის კოლექტივი დავალიანებული აღმოჩნდა ჩვენი სახალხო მეურნეობის წინაშე სპეციალური დანიშნულების ლითონდასამუშავებელი ჩარხების გამოშვების დარგში. ეს ჩამორჩენა უკვე რამდენიმე წელიწადია, გრძელდება. რატომ ვერ ართმევს თავს ქარხნის კოლექტივი სპეციალური ჩარხების გამოშვების დავალებას?

ჩვენი შეხედულებით, ძირითადი მიზეზი სპეციალური ჩარხების გამოშვებაში ჩამორჩენისა ის არის, რომ ქარხანას არ ეძლევა სპეციალური ჩარხების გამოშვების რეალური გეგმა, არ არის გათვალისწინებული ამ ჩარხების სართულე, შრომატევადობა, სიახლე, მოდელების რაოდენობა, სათანადო მასალებით მომარაგება და სხვა პირობები, რაც გეგმას რეალურს გახდიდა.

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ

ქარხანას ყოველწლიურად უგეგმაევნ 50-60 მოდელის სპეციალური ჩარხის გამოშვებას. უმეტესობა ამ ახალი მოდელებისა პირველად ასათვისებელია და ყოველი მათგანი გამოირჩევა კონსტრუქციის თავისებურებით. მაშასადამე, სცილდება სპეციალიზაციის იმ პროფილს, რომელიც ქარხანას აქვს მიკუთვნებული, და ჩარხმშენებლები იძულებული არიან ეს მრავალნომენკლატურიანი ჩარხები გამოუშვან ინდივიდუალური ან წვრილსერიული მეთოდით. ზემდგომი ორგანოების დადგენილებით 1961 წლიდან თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანას ეკისრება გამოუშვას მხოლოდ მილდასამუშავებელი ჩარხები. მგეგმავი ორგანოები კი საწარმოს მილდასამუშავებელ ჩარხებთან ერთად უგეგმავენ მრავალი სხვადასხვა დანიშნულების (სახარატო-გამომწნები, სახეს-საკეტნი და ა. შ.) ჩარხების გამოშვებას. ეს იწვევს მაღალკვალიფიციური კადრების დაქსაქსვას სხვადასხვა სამუშაოსაკენ, აფერხებს მილდასამუშავებელი ჩარხების გამოშვებისათვის კოლექტივს შემოქმედებითი აზრის კონცენტრირებას, მაშასადამე, ფერხდება ქარხნის ძირითადი პროდუქციის წარმოება, რითაც ხელი ეშლება მთავრობის მიერ გათვალისწინებული მნიშვნელოვანი ობიექტების ამუშავებას.

ყოველივე ამასთან უმართებულო დაგეგმვა იწვევს სპეციალური ჩარხებისათვის ძვირადღირებული მასალების ჩაწოლას, საბრუნავ საშუალებათა გაბოლოებას და ფინანსურ მდგომარეობაში აყენებს საწარმოს. საგულისხმოა ისიც, რომ საკავშირო საგეგმო კომისიის მიერ სპეციალური ჩარხების გეგმის განსაზღვრის შემდეგ უშუალოდ შემკვეთებთან მოდელების შეთანხმებასა და გამოსაშვები ჩარხების სპეციფიკაციის შედგენაზე საკმაოდ დიდი დრო უნდა იყოფოდ იკარგება.

გარდა ამისა, დაგეგმვის პირველი საფეხურის შემდეგ, რაც გამოსაშვები ჩარხების რაოდენობითი განსაზღვრით გამოიხატება, „სოიუზელავმაში" რესპუბლიკას დაგეგმილი ჩარხების რაოდენობის შესაბამისად აწვდის ფონდებს და მხოლოდ ამის შემდეგ იწყება ჩარხებზე შეკვეთების გაფორმება. ეს იმდენად დიდ დროს მოითხოვს, რომ თეფმბით ქიახუტდება და, ცხადია, ხელი ეშლება დაგეგმილი ჩარხების გრაფიკით გამოშვებას. ამრიგად, სპეციალური ჩარხების დაგეგმვისა და მათთვის საჭირო ფონდების გამოყოფის არსებული პრაქტიკა თავისთავად ქმნის გეგმის შეუსრულებლობის წინასწარ პირობებს. მაშასადამე, ეს პრაქტიკა მოითხოვს გადასინჯვას.

სულ სხვა მდგომარეობა გვექნებოდა, საწარმოს კოლექტივმა ახალი სამეურნეო წლის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე რომ იცოდეს, თუ რომელი ჩარხების გამოშვება დაეკისრება მას მომავალ წელს. ფონდებიც, ცხადია, ამ დროისათვის უნდა მიიღოს, რათა საშუალება მიეცეს გულდასმით მოამზადოს წარმოება ახალი ჩარხების გამოსაშვებად.

ცალკეთი სპეციალური ჩარხების დაგეგმვის მეთოდი, როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, არ ითვალისწინებს ისეთ ძირითად მონაცემებს, როგორიც არის შრომატევადობა, ნაწარმის წონა, მოდელების სიმრავლე და მათი ნაირსახეობა. ამასთან გათვალისწინებული არ არის ის მდგომარეობა, რომ ახალი მოდელების ათვისებისათვის საჭიროა გაცილებით მეტი დრო და სპეციალისტების დაბანდება.

სპეციალური ჩარხების გეგმის შეუსრულებლობა ქმნის ისეთ შეამბეჭდილებას, თითქოს ჩარხმშენებლები არასაკმაოდ იბრძოდნენ შრომის ნაყოფიერების ზრდისა და მუშაობის გაუმჯობესებისათვის. სინამდვილეში კი მარტო წელს 11 თვის განმავლობაში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სპეციალური ჩარხების გამოშვება გაიზარდა 25 პროცენტით, მაგრამ 11 თვის საწარმოო გეგმა სპეციალური ჩარხების გამოშვებისა მაინც კვლავ შეუსრულებელი დარჩა.

საკითხავია, რატომ არ შეიძლება ჩარხების გამოშვებაც ისე დაგეგმოს, როგორც ტრაქტორებისა (იგეგმება ორგორც ცხობილია, პირობითის ერთეულებში), ან რკინიგზის ტრანსპორტზე ტვირთზიდვისა (იგეგმება ორდერძიან ეკგნებზე გადაანგარიშებით).

სპეციალური ჩარხების გამოშვების გეგმის შედგენის დროს საჭიროა გაათვალისწინონ ქარხნის საწარმოო სიმძლავრეც.

სპეციალური ჩარხების გამოშვების გეგმის შესრულებას ხელს უშლის ასევე სხმულით მომარაგების მოუწესრიგებლობაც. ჩარხების გამოშვების გეგმას როცა ადგენენ, საჭიროა გაითვალისწინონ, საჭირო რაოდენობით კვეძნება თუ არა სხმული, ნაჭედი, ნამზადი და ა. შ. ჩარხმშენებლებს სხმული უნდა მოსდიოდეთ დროულად და თან კომპლექტურად. ამასთან უნდა მომამზადონ სხმულის გარკვეული მარაგით, რათა საშუალება ექნეთ წინასწარ ნაუშვან ცალკე ნაწილები დასამუშავებლად, როგორც ამას ჩარხების გამოშვების ტექნოლოგიური ციკლი გულისხმობს.

რამდენჯერმე დავაყენეთ საკითხი, რომ ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის გეგმა მარტო ტონაჟით კი არა, ნომენკლატურითაც განისაზღვროს. ეს აამაღლებს ფოლად-თუჯმსხმელების პასუხისმგებლობას, ისინი იძულებული იქნებიან მეტი ყურადღება დაუთმონ კომპლექტაციის საკითხს.

ჩვენ აქ გეგმის რეალობის მხედველობაში ზოგიერთ საკითხს შევეხეთ, და ეფექტურობთ, მათი მოგვარება დიდი-და ნამდვილად ქმედითი დახმარება იქნება ჩარხმშენებლებისათვის.

Ს. ᲛᲘᲥᲐᲫᲔ.

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი, ეკონომისტი,

Ჯ. ᲛᲘᲛᲘᲜᲝᲨᲕᲘᲚᲘ.

საგეგმო-ეკონომიური განყოფილების უფროსი, ეკონომისტი.

ᲓᲐᲕᲐᲩᲥᲐᲠᲝᲗ ᲛᲖᲠᲐᲚᲐᲓ ᲮᲕᲜᲐ, ᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲛᲝᲜᲢᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

ᲛᲝᲡᲐᲒᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ გადიდებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მზრალად ხანავნე საგაზაფხულო მარცვლეული და სხვა კულტურების თესვას. ამიტომ არის აუცილებელი თავის დროზე — ავროტექნიკური ვადებში შესრულდეს მზრალად ხვნის დავალება. ბევრგან ეს სამუშაო კარგად მიმდინარეობს.

აღსანიშნავია, რომ მთელმა რიგმა რაიონებმა უკვე შეასრულეს მზრალად ხვნის გეგმები. ესენი არიან ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ, ᲧᲐᲚᲐᲪᲮᲝᲜᲘᲡ, ᲧᲐᲚᲐᲪᲘᲡ, ᲧᲝᲚᲚᲐᲠᲘᲡ რაიონები და ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲘᲡ ავტონომიური ოლქი. მაგრამ მზრალად ხვნის ტემპი საერთოდ რესპუბლიკაში არადამაკმაყოფილებელია. 20 დეკემბრისათვის გეგმა შესრულებული იყო 72,4 პროცენტით.

დეკემბერი იწურება. ზოგიერთ რაიონში მზრალად ხვნა ჩამორჩა. ᲛᲐᲡᲘᲐᲙᲘᲜᲫᲘᲡ რაიონში დავალება შესრულებულია 44,8 პროცენტით, ᲑᲝᲚᲜᲘᲡᲘᲡ — 58,9, ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲡ — 57,5, ᲛᲪᲮᲔᲗᲘᲡ — 60,4, ᲒᲝᲠᲘᲡ — 76,2, ᲒᲣᲠᲯᲐᲜᲘᲡ — 77,8, ᲗᲘᲗᲝᲠᲘ ᲬᲧᲐᲠᲝᲡ — 75,9, ᲡᲐᲩᲮᲔᲠᲘᲡ — 81,7, ᲡᲐᲑᲐᲠᲐᲫᲘᲡ — 84,2, ᲨᲐᲨᲕᲘᲡ — 85,5, ᲑᲐᲠᲛᲐᲕᲘᲡ — 84,1, ᲡᲘᲜᲔᲚᲘᲡ რაიონში — 86,1 პროცენტით.

აღნიშნული რაიონების პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებმა ხელიდან არ უნდა გაუშვან არც ერთი ხელსაყრელი დღე. მათ უნდა გააძლიერონ მზრალად ხვნის ტემპი, წარმატებით შეასრულონ დავალება.

მინდვრის სამუშაოების დროულად და ხარისხოვნად შესრულებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ტრაქტორების მომზადებას. ამ მხრივ კარგად იმუშავეს ᲑᲣᲠᲯᲐᲜᲘᲡ, ᲧᲕᲐᲠᲚᲘᲡ, ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲡ, ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲡ, ᲡᲐᲩᲮᲔᲠᲘᲡ, ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝᲡ, ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲫᲘᲡ, ᲛᲐᲡᲢᲐᲠᲐᲫᲘᲡ, ᲒᲝᲠᲘᲡ, ᲪᲮᲐᲙᲐᲘᲐᲡ, ᲧᲣᲜᲓᲠᲘᲓᲘᲡ რაიონებმა და ᲐᲤᲮᲐᲖᲗᲘᲡ ასს რესპუბლიკაში. ᲠᲔᲛᲝᲜᲢᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲓᲐᲛᲞᲐᲠᲘ ᲛᲘᲜᲘᲭᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲜᲒᲘ

მსოფლიო ამ დღეებში

საბჭოთა მთავრობის განცხადება

20 ნოემბერს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ გამოაცხადა თავისი გადაწყვეტილება 1965 წლის მაისიდან შეწყვიტოს ნაცისტ სამხედრო დამნაშავეთა სასამართლო დევნა, რადგან გასულია მათ მიერ ჩადენილ დანაშაულთა „ხანდაზმულობის ვადა". ამასთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობამ გაკეთებ განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ პიტლერელთა საზარელი ბოროტმოქმედებანი მშვიდობისა და ადამიანობის წინააღმდეგ გადაწყვიტა გაუთანაბროს ჩვეულებრივ სისხლის სამართლის დანაშაულებს და შეუფარდოს მათ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მოქმედი 1871 წლის სისხლის სამართლის კოდექსი, რომლითაც გათვალისწინებულია ხანდაზმულობის მაქსიმალური ვადა 20 წელი.

ამ „პოზიციის" დასასაბუთებლად ბონის ოფიციალური წრეები ამტკიცებენ, თითქოს მეტი წილი ნაცისტი დამნაშავეები უკვე მიცემული არიან პასუხისგებაში და ამიტომ თითქოს აღარ შეიძლებოდეს ახალ დამნაშავეთა გამოვლინება, ამტკიცებენ, თითქოს ძნელია დანაშაულის გამოძიება დიდი ხნის გასვლის შემდეგ. ცხადია, რომ ეს არგუმენტაცია მოკლებულია ყოველგვარ პოლიტიკურ, იურიდიულ თუ მორალურ საფუძველს.

საბჭოთა მთავრობის განცხადებაში აღნიშნულია, რომ იმ პრინციპების ძალით, რომლებიც აღიარებულია საერთაშორისო სამართლით, ყველა სახელმწიფო ვალდებულია დევნოს მშვიდობისა და ადამიანობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული. ეს ნათქვამია ისეთ დოკუმენტებში, როგორიც არის დეკლარაცია გერმანიის დამარცხების შესახებ, შეთანხმება გერმანიისადმი ზოგიერთი დამატებითი მოთხოვნის შესახებ, პოტსდამის შეთანხმებანი, საშხედრო დანაშაულთა საკალდებულო დასჯის პრინციპი, რომელიც გამოცხადებულია საერთაშორისო შეთანხმებებში, დადასტურდა აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის რეზოლუციებით. ცნობილ შეთანხმებებში გერმანიის შესახებ არა მარტო დადასტურებულია ოთხი ხანელმწიფოს ვალდებულებანი ნაცისტ სამხედრო დამნაშავეთა დასჯის შესახებ, არამედ შეტანილია დებულებანი, რომლებიც გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებენ გერმანიის შესაბამის ხელისუფალთ.

ეს და სხვა დადგენილებანი თანმიმდევრობით სრულდება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. საგულისხმოა, რომ დასავლეთ გერმანიასთან შედარებით გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დასჯილ ერთთორად მეტი სამხედრო დამნაშავე, თუმცა როგორც ცნობილია, მეტმა წილმა დამნაშავეებმა ერთ დროს სწორედ დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე შეაფარეს თავი.

პიტლერელთა ბოროტმოქმედებანი ხაზგასმით არის აღნიშნული საბჭოთა მთავრობის განცხადებაში, მიმართული იყო ყველა ხალხის, მთელი კაცობრიობის ძირეული, საარსებო ინტერესების წინააღმდეგ. ნაცისტ დამნაშავეებს, რომლებმაც საზარელი ბოროტმოქმედებანი ჩადინეს, ტერიტორიაზე მყოფი ყველა სამხედრო ნაცისტი დამნაშავე სასამართლო პასუხისგებაში მისცეს და დასაჯონ თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ნორმების სრული შესაბამისობით. პიტლერელი დამნაშავეები, რომლებმაც მსოფლიოს თავს დაატეხეს მეორე მსოფლიო ომის კატასტროფა, დაღვარეს ადამიანთა ზღვა სისხლი, დამსახურებულად უნდა დაისაჯონ, სადაც და რამდენ ხანსაც უნდა ემალებოდნენ მართლმსაჯულებას.

(საკდესი).

იაპონია. ამას წინათ ტოკიოში გაიმართა ქალთა დემონსტრაცია სიძვირის ზრდის წინააღმდეგ. პარლამენტს გადასცეს პეტიცია, რომელშიც გმობენ სამომხმარებლო საქონლისა და კვების პროდუქტების გაძვირებას და ტრანსპორტზე მგზავრობის ფასის გადიდებას.

სურათზე: დემონსტრაცია. დიასახლისებს მოაქვთ ბოსტნეული და წარწერები ფასების აღნიშვნით. „ეს კარტოფილი 23 იენი ღირს. ჩვენ სიძვირის წინააღმდეგი ვართ" — ეს სიტყვებია წარწერილი პლაკატზე.

საკდესის ფოტოქრონიკა.

ა. ი. მიკოიანი ფინეთში

ჰელსინკი, (საკდესი). ფინეთის პრეზიდენტის სასახლეში გაიმართა ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ურჰო კეკონენისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ა. ი. მიკოიანის საუბარი.

ა. ი. მიკოიანმა ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს გადასცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ლ. ი. ბრეჟნევისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის მისალმებანი.

საუბრის დროს ხაზგასმით აღინიშნა, რომ ორივე ქვეყნის მთავრობები ცდილობენ კვლავაც განავითარონ და განამტკიცონ ფინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის დამყარებული მეგობრობისა და ნდობის ურთიერთნდობა.

ორივე მხარემ აღნიშნა, რომ ფინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის არ არის არავითარი გადაუჭრელი პოლიტიკური პრობლემა.

საუბრის დროს განიხილეს აგრეთვე ორივე ქვეყნის ეკონომიური ურთიერთობის საკითხებიც.

გარდა ამისა, პრეზიდენტმა კეკონენმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ი. მიკოიანმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი აქტუალურ საერთაშორისო საკითხებზე.

საუბარი მეგობრობისა და სრული ურთიერთგაგების ატმოსფეროში მიმდინარეობდა.

პრეზიდენტ კეკონენს გადაეცა ლენინის ორდენი

ჰელსინკი, (საკდესი). ფინეთში სსრ კავშირის საელჩოში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ი. მიკოიანმა ლენინის ორდენი გადასცა ფინეთის პრეზიდენტს უ. კ. კეკონენს.

წაიკითხეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება. შემდეგ ა. ი. მიკოიანმა პრეზიდენტს მკერდზე გაუკეთა ლენინის ორდენის ალისფერი ლენტი და მიულოცა ჯილდო.

პრეზიდენტმა უ. კ. კეკონენმა მადლობა უძღვნა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს საპატიო ჯილდოსათვის. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ფინელ ხალხს სურს განამტკიცოს და განვითაროს საბჭოთა კავშირთან კეთილმეზობლობის პოლიტიკა.

ა. ი. მიკოიანი სამშობლოში დაბრუნდა

ჰელსინკი, 23 დეკემბერი. (საკდესი). დღეს ჰელსინკიდან მოსკოვს გაემგზავრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. ი. მიკოიანი, რომელიც რამდენიმე დღეს არაოფიციალურ ვიზიტად იმყოფებოდა ფინეთში.

ჰელსინკის ვაგზალში ა. ი. მიკოიანი გააცილეს პრეზიდენტმა უ. კ. კეკონენმა, აგრეთვე პრემიერ-მინისტრმა ი. ვიროლაინენმა, თავმჯდომარის და გუბერნიების ხელისუფალთა წარმომადგენლებმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

სიხარულით შეგვიძლია აღვნიშნოთ, მიმართა უ. კ. კეკონენმა ა. ი. მიკოიანს, რომ ჩვენი თვალსაზრისით, ეს მეტად წარმატებითი ვიზიტი იყო. პრეზიდენტმა სთხოვა ა. ი. მიკოიანს სალამი გადასცეს საბჭოთა ხალხს.

საპასუხო სიტყვაში ა. ი. მიკოიანმა მადლობა გადიხადა გულთბილი სტუმართმოყვარეობისა და გულითადი მიღებისათვის. ა. ი. მიკოიანმა თქვა, რომ კმაყოფილია შეხვედრებით, რომელიც ფინეთში ჰქონდა, ფინელ ხალხს მიულოცა მოახლოებული ახალი წელი, უსურვა ბედნიერება და ახალი წარმატებანი.

ფინეთში სამი დღის არაოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ყოფნის შემდეგ 24 დეკემბერს მოსკოვში დაბრუნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. ი. მიკოიანი. (საკდესი).

ლონდონი, 23 დეკემბერი. (საკდესი).

კამათი ინგლისის ლორდთა პალატაში

ნატოს ატომური ძალების შექმნის გეგმები ბევრი გამოსვლის თემად გახდა საგარეოპოლიტიკური კამათის დროს, რომელიც გუშინ გაიხსნა ინგლისის პარლამენტის ლორდთა პალატაში. კონსერვატიულ ოპოზიციის ლიდერმა ლორდმა კარინგტონმა გააკრიტიკა ატლანტიკური ატომური ძალების შექმნის პროექტი, რომელიც ლეიბორისტულმა მთავრობამ წამოაყენა და განაცხადა, რომ მრავალმხრივი ატომური ძალების შექმნის ამ პროექტსა და პირველ პროექტს შორის არსებითი განსხვავება არ არის. თუ ლეიბორისტული მთავრობის პროექტი არ შეიძლება გამართლებულ იქნეს სამხედრო თვალსაზრისით, თქვა მან, ეს ეხება მრავალმხრივი ატომური ძალების შექმნის გეგმებსაც.

კარინგტონმა თითქოს შეჯამა ყოფილი კონსერვატიული პარტიის პოზიცია და მოუწოდა ლეიბორისტულ მთავრობას არ იჩქაროს გადაწყვეტილებათა გამოტანა.

უკვე ცნობილი არგუმენტები ლეიბორისტული მთავრობის დასაცავად წამოაყენა საგარეო საქმეთა მინისტრის საპარლამენტო მოადგილემ ლორდმა უოლსტონმა. იგი ამტკიცებდა, თითქოს ინგლისური გეგმის მიღება ხელს შეუშლის ატომური იარაღის გავრცელებას. მაგრამ მაშინვე განაცხადა, რომ „ჩვენი უატომო მოკავშირეები (იგულისხმება: დასავლეთი გერმანია — კორ. შენიშვნა) არ უნდა იყვნენ არახელსაყრელ მდგომარეობაში ნატოს ატომურ ქვეყნებთან შედარებით", თორემ ისინი შეეცდებიან შექმნან საკუთარი ატომური იარაღი.

ბონი-ბადენ-ბადენი

ადენაუერი ბონში

ბონი, 24 დეკემბერი. (საკდესი). ბონიდან ბადენ-ბადენში ჩასულ ფედერალურ კანცლერ კონრად ადენაუერს ბონში ჩამოსვლისთანავე ინტერვიუ ჩაუტარეს. ადენაუერმა ინტერვიუერებს ბონში ჩამოსვლის მიზეზად ოჯახური საქმეები დასახელა. ადენაუერმა ინტერვიუ

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

ჩვენი ინტერვიუ

ფეიქრინეთ, ფასდაკლებულია!

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიაზე აღინიშნა, რომ ამჟამად საწარმოთა საწყობებსა და მაღაზიებში ჭარბად არის ზოგიერთი სახის შეკერილი ნაწარმი, ქსოვილები, ფეხსაცმელი და სხვა სამრეწველო საქონელი. მთავრობამ გადწყვიტა განახორციელოს ამ საქონლის გადაფასება და 1965 წლის გეგმასა და ბიუჯეტში ამ მიზნებისათვის გაითვალისწინა მნიშვნელოვანი თანხა — ერთ მილიარდ სამას მილიონამდე მანეთი. ამრიგად, ეს საქონელი მოსახლეობას შეუძლია იყიდოს უფრო იაფად. მყიდველისათვის რომ მოხერხებული იყოს, ეს საქონელი გაიყიდება სპეციალურ მაღაზიებში.

სავაჭრო ორგანიზაციებმა უკვე გადადგეს პირველი ნაბიჯები მთავრობის ამ გადწყვეტილების განსახორციელებლად. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს უფროსმა ნ. ბიბილეიშვილმა ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

ჩვენი ქალაქის სავაჭრო ორგანიზაციებმა დროულად იზრუნეს ამ მნიშვნელოვანი ღონისძიების ორგანიზებულად გატარებისათვის. 17 დეკემბრიდან თბილისის სავაჭრო ქსელში უკვე იყიდება ჩამოფასებული საქონელი. ფასდაკლებული საქონლის სარეალიზაციოდ გახსნილია სპეციალური მაღაზიები ჩელუსკინელების ქუჩაზე, პლეხანოვის პროსპექტზე, კირთვის სახელობის რაიონისა და ნავთლუღის საკოლმეურნეო ბაზრებში, სულხანიშვილის ქუჩაზე, ავჭალის გზატკეცილზე.

იმისათვის, რომ მოსახლეობას გაუადვილდეს ფასდაკლებული საქონლის შეძენა, 1964 წლის 17 დეკემბრიდან კლარა ცეტკინის ქ. № 190-ში (პირველი მაისის რაიონის საკოლმეურნეო ბაზრის პირდაპირ) გახსნილია ბაზრობა.

აღნიშნულ მაღაზიებში 40-60 პროცენტის ფასდაკლებით იყიდება ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ქსოვილები, საგალანტერეო საქონელი, ბეწვეული, კულტსაქონელი და სხვ. მაგალითად, შალის საკოსტიუმე ქსოვილი, რომელიც 29 მანეთი ღირდა, ახლა 12 მანეთად იყიდება, ტრიკო „კოლხიდა“, რომლის ფასი 38 მანეთი და 40 კაპიკი იყო, ახლა 18 მანეთი ღირს. ასევე მამაკაცის პალტოები ფასდაკლებულია 50 პროცენტით, ქალის პალტოები 45 პროცენტით, კაბები 50 პროცენტით, მამაკაცის კოსტიუმები 40 პროცენტით და ა. შ.

მოსმენარებელს გაიაფებულ ფასებში საქონლის შეძენა შეუძლია როგორც ნაღდ ანგარიშზე, ისე განვადებით. ფასდაკლებული საქონლის ნისიად შეძენა შეიძლება ცენტრალურ მაღაზიაში (ჩელუსკინელების ქ. № 18) აგრეთვე № 3 ფილიალში (პლეხანოვის ქ. № 94).

ფასდაკლებული საქონლის რეალიზაცია წარმატებით მიმდინარეობს.

„წყნარი“ წელიწადის მიწისძვრა

დუშანბე, 24 დეკემბერი. (**საკადესის კორ.**). დღეს დილის შვიდ საათსა და ცხრა წუთზე ადგილობრივი დროით დუშანბელებმა და ტაჯიკეთის სხვა ქალაქების მცხოვრებლებმა იგრძნეს სამბალიანი ძალის მიწისძვრა.

სეისმური სადგურის „დუშანბეს“ სპეციალისტებმა საკადესის კორესპონდენტს აცნობეს, რომ მიწისძვრის ეპიცენტრი დედამიწის ზედაპირიდან 100 კილომეტრის სიღრმეში მდებარეობდა აკადემიკოს ალექსანდროვის ქალაქ ფაიზაბადის რაიონში. ამ მიწისძვრას, ისე როგორც მეტ წილ წინა მიწისძვრებს, თან ახლავს სიღრმისეული ძვრების სერიები ჩვენი პლანეტის სხეულში, რომლებზეც ჯერ კიდევ განვიგრძობენ მოძრაობას პამირის, ჰინდუყუშისა და მეზობელი ქვეყნის ახალგაზრდა ნაოჭა მთები.

საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ მიმდინარე წელი ტაჯიკეთისათვის (სსრ კავშირის უფრო აქტიური სეისმური ზონისათვის) უჩვეულოდ „წყნარი“ იყო. დღეს მხოლოდ ოცდამეერთე მიწისძვრა იგრძნობოდა რესპუბლიკის დედაქალაქში.

მუზეუმი საზოგადოებრივ საწყისებზე

ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ფარცხნალში საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა მუზეუმი.

მუზეუმის საბჭო, რომლის თავმჯდომარეა ფარცხნალის რვაწლიანი სკოლის დირექტორი უ. ვეფხვაძე, შეუდგა მასალების შეგროვებას სოფლის გამოჩენილი ადამიანების შესახებ.

ქ. სახვაძე.

ფერმამ ნყალი მიიღო

ცხაკაიას რაიონის თეკლათის პავლავაძის სახელობის კოლმეურნეობა კოლხიდის შუაგულში მდებარეობს. ყველაზე დაბლობ ადგილზეა მეცხოველეობის ფერმა, სადაც დიდხანს არ გვქონდა წყალი.

კოლხიდის გეოლოგიურმა პარტიამ დიდი დახმარება გაგვიწია, ჩვენი კოლმეურნეობის ფართობში ღრმა გთხრილი მიიღო არტეზიული წყალი. ახლა წყლით უზრუნველყოფილი ვართ.

ხ. გრიგოლია,
ლ. ლაშქარაგა.

ანტიკური ქალაქი ფუნდა

ამ დღეებში თბილისში დაბრუნდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მესხეთ-ჯავახეთის ექსპედიცია, რომელსაც ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი ტ. ჩუბინიშვილი ხელმძღვანელობს. ექსპედიცია უკვე წლების განმავლობაში იკვლევს მესხეთ-ჯავახეთის შორეულ წარსულს.

წლევანდელი ექსპედიციის ძირითადი მონაპოვარია დაზვერვა ანტიკურ ქალაქ წუნდისა, რომელიც მდებარეობს კლდეკალაქ ვარძიიდან ოთხი კილომეტრის დაშორებით.

— ჯავახეთის მთიანი ზოლის არქეოლოგიური შესწავლის შემდეგ, — გვიამბობს ტ. ჩუბინიშვილი, — ჩვენმა ექსპედიციამ დაზვერვა განაგრძო მტკვრის ზემოწელში, თმოგვისა და ვარძიის მიდამოებში. ეს ადგილი, როგორც საინტერესო არქეოლოგიური ძეგლების პუნქტი, ადრევე იყო ცნობილი, კერძოდ ყურადღებას იქცევდა ბერთაყანის ყორღანები.

1955 წელს ვარძიის ნაკრძალის მუზეუმის დირექტორმა არქიტექტორმა კ. მელითაურმა და ახალგაზრდა არქეოლოგმა ო. ღამბაშიძემ ბერთაყანის ტერიტორიაზე გათხარეს ნახევრად დანგრეული ყორღანი და შეუდგნენ მის წმენდას. აქ მათ იპოვნეს ნივთები, რომლებიც თარიღდებოდა ძველი წელთაღრიცხვის IV-II საუკუნეებით. ჩვენ გადავწყვიტეთ განგვეგრძო ამ ყორღნის შესწავლა.

ყორღანი აგებულია ძველი შენობის ნაშთზე, რომელშიც მიცვალებული იყო ჩასვენებული. კედლები აშენებულია ქვლის ნატეხებისაგან, რომლებიც მჭიდროდ დაწყობილია ერთმანეთზე. გადახურვა ემყარებოდა სვეტებს, რომელთაც თლილი ქვისაგან გაკეთებული საურდენები უნდა ჰქონოდათ. შენობის იატაკი ფიქალი ქვებით არის მოფენილი. ყოველივე ეს აშკარას ხდის, რომ აქ საქმე გვაქვს საქალაქო ტიპის ნაგებობასთან. მაშასადამე, წლევანდელი ექსპედიციის დაზვერვის შედეგად გაირკვა, რომ ყორღანი უფრო გვიანდელია, ვიდრე ის ქვის ნაგებობა, რომელიც გამოუენებელი იყო სამარხად. თუ ეს ასეა, და იგი ძველი წელთაღრიცხვის IV-II საუკუნეებზე უფრო გვიანდელი არ უნდა იყოს, მაშინ სავსებით შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ სწორედ ბერთაყანის ტერიტორიაზე იყო გაშენებული ამ დროის ძველი წერილობითი წყაროებით კარგად ცნობილი ანტიკური ქალაქი წუნდა.

ამ მოსაზრებას ის გარემოებაც ადასტურებს, რომ ბერთაყანის გარკვეულ ტერიტორიაზე ნახავთ დიდ და მცირე ყორღნებს. ადრევე გაძარცულ ყორღნებში მიკვლეული ანალოგიური ქვის ნაგებობის ნაშთები გვაფიქრებინებს, რომ მეტი წილი ეს ყორღნები აგრეთვე ფარაკენ ანტიკური ქალაქის ნაგებობებს.

მაშასადამე, სწორედ ბერთაყანაშია მოსალოდნელი აღმოჩენილ იქნას ქალაქური ტიპის ნაგებობა და თვით წუნდა, ის ქალაქი, რომელიც მე-10 საუკუნემდე მესვეურობდა მთელ ჯავახეთში.

აღსანიშნავია, რომ ბერთაყანიდან ერთ-ნახევარი - ორი კილომეტრის დაშორებით, სადაც ამჟამად მდებარეობს სოფელი ნაქალაქევი, ადრე აღმოჩენილია ქალაქ წუნდის ნანგრევების დიდი ჯგუფი ქარვასლა, ეკლესია ძველი ქართული წარწერებით და სხვ. ეს ძეგლები თარიღდება IX-XI საუკუნეებით, მაგრამ ცნობილია, რომ წუნდის უფრო ძველი ფენებიც არსებობდა, იგი ანტიკური საქართველოს ერთ-ერთი უფროსი ქალაქია. მისი დაარსება დაკავშირებულია ლეგენდარულ პირთან ჯავახოსთან. XI საუკუნის ისტორიკოს ლეონტი მროველის აზრით, ეს ადგილი ... ...